

სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდის თემატიკა

კერძო სამართლის მიმართულებით

ა) სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი.

თემა №1- პირები (სახეები, უფლებაუნარიანობა, პირადი არაქონებრივი უფლებები);

თემა № 2- გარიგებები;

თემა №3- ვადები, ხანდაზმულობა.

ბ) სანივთო სამართალი

თემა № 1- ქონება;

თემა №2- საკუთრება, მფლობელობა;

თემა №3- საკუთრების შეძენა და დაკარგვა (მოძრავ და უძრავ ნივთებზე);

თემა №4- შეზღუდული სანივთო უფლებები;

თემა №5- მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები (იპოთეკა, გირავნობა).

გ) ვალდებულებითი სამართალი

თემა №1- ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები;

თემა №2- ხელშეკრულების თავისუფლება და მისი შეზღუდვები;

თემა №3- წინასახელშეკრულებო ურთიერთობა; მიმართება წინარე ხელშეკრულებასთან. მხარეთა უფლება-მოვალეობები, სამართლებრივი შედეგები.

თემა №4- ხელშეკრულების დადება; სტანდარტული პირობების გამოყენებით და მესამე პირების სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებები.

თემა №5- ვალდებულების შესრულება;

თემა №6 ვალდებულების დარღვევა; მიმართება კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებასთან.

თემა.№7 ვალდებულების დარღვევის სახეები, შესრულების შეუძლებლობის, მოვალის მიერ ვადის გადაცილების, ნაკლიანი შესრულების და გულისხმიერების ვალდებულების დარღვევის ნორმატიული წინაპირობები, შინაარსი. შეცვლილი გარემოებისადმი ხელშეკრულების მისადაგება.

თემა №8- პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის;

თემა №9- მეორადი მოთხოვნის უფლებების სისტემა, გამოყენების წინაპირობები

თემა №10- ვალდებულების შეწყვეტა;

თემა №11- მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებები (პირგასამტეხლო, ბე, მოვალის გარანტია).

თემა №12- ხელშეკრულებათა ძირითადი ტიპები; ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებები; ქონების სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულებები;

თემა №13-კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი; დელიქტური ვალდებულებები;

დ) სამოქალაქო საპროცესო სამართალი

თემა №1 – სამოქალაქო სამართალწარმოების ძირითადი პრინციპები

თემა №2 – უწყებრივი ქვემდებარეობა; განსჯადობა; სასამართლოს შემადგენლობა და აცილება;

თემა №3 – პროცესის ხარჯები; საპროცესო უზრუნველყოფა; საპროცესო ვადები; სასამართლო შეტყობინება და დაბარება;

თემა №4 – მხარეები; საპროცესო თანამონაწილეობა; მესამე პირები; წარმომადგენლობა სასამართლოში;

თემა №5 – სასამართლო მტკიცებულებები; მტკიცებულებათა უზრუნველყოფა; ადგილზე დათვალიერება; წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულება; მოწმის ჩვენება; ექსპერტის დასკვნა; ფაქტების კონსტატაციის მასალები;

თემა №6 – სასარჩელო წარმოება; საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში; შეგებებული სარჩელი; სარჩელის უზრუნველყოფა; მოსამზადებელი სტადია; მთავარი სხდომა; სასამართლო გადაწყვეტილება; დაუსწრებელი გადაწყვეტილება; საქმის დამთავრება გადაწყვეტილების გარეშე;

თემა №7 – სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა; კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმების საფუძვლები და საქმის წარმოების განახლება;

თემა №8 - სასამართლო განჩინება; კერძო საჩივარი;

თემა №9 – გამარტივებული და უდავო წარმოება; საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი;

თემა №10 – საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში;

თემა №11 – საქმის წარმოება საკასაციო ინსტანციაში;

სისხლის სამართლის მიმართულებით

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი

1. სისხლის სამართლის კანონი და მისი მოქმედების ფარგლები: დანაშაულის ჩადენის დრო; სისხლის სამართლის კანონის უკუძალა; სისხლის სამართლის კანონის მოქმედება სივრცეში;
2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. დანაშაულის ცნება და ნიშნები;
3. ქმედების ობიექტური შემადგენლობა. მიზეზობრივი კავშირი;
4. ქმედების (დანაშაულის) სუბიექტური შემადგენლობა. მოტივი, მიზანი.
5. განზრახვა, გაუფრთხილებლობა; თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული დანაშაული;
6. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები: აუცილებელი მოგერიება; დამნაშვის შეპყრობა; უკიდურესი აუცილებლობა;
7. ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებათა სახეები: იურიდიული შეცდომა, ბრძანების ან განკარგულების შესრულება; ბრალის გამომრიცხველი ანალოგიური (ე.წ. ზეკანონური) გარემოება;
8. დაუმთავრებელი დანაშაული: მომზადება, მცდელობა. დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ურთიერთგამიჯვნის პრობლემა და კრიტერიუმები. მცდელობის სახეები;
9. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება;
10. ამსრულებლობის ცნება და სახეები: ერთპიროვნული ამსრულებლობა, თანაამსრულებლობა და შუალობითი ამსრულებლობა;

11. თანამონაწილეობის ცნება. თანამონაწილეობის აქცესორული ბუნება. თანამონაწილის სახეები. ამსრულებლის ექსცესი;
12. ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის საკითხი;
13. ჯგუფური დანაშაულის სადავო საკითხები;
14. ერთიანი დანაშაული და დანაშაულის სიმრავლე. ნორმათა კონკურენცია;
15. სასჯელის ცნება და მიზნები;
16. სასჯელის სახეები. სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები
17. სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობისას;
18. პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნება და მისი დანიშვნა;
19. არასრულწლოვნის სასჯელის მიზანი და სახეები;
20. არასრულწლოვნისათვის სასჯელის სახით ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის წესი;

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი

ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

1. მკვლელობის ცნება და ზოგადი დახასიათება;
2. მკვლელობის სახეები - 108 – 114 მმ;
3. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება;
4. საფრთხის დელიქტების ზოგადი დახასიათება;
5. სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება, განსაცდელში მიტოვება, უკანონო აბორტი;

6. დანაშაული ადამიანის უფლებისა და თავისუფლების წინააღმდეგ მუხლი 143 და 144. თავისუფლების უკანონო აღკვეთა და მძევლად ხელში ჩაგდება.

მუხლი 143¹. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

მუხლი 144¹. წამება

მუხლი 150 - იძულება

დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია ზოგადი დახასიათება.

მუხლი 179. ყაჩაღობა. მისი განსხვავება ბანდიტიზმის, მარცვისა და გამოძალვისგან

მუხლი 180 და 185-ე მმ. - თაღლითობა, ქონებრივი დაზიანება მოტყუებით.

მუხლი 181. გამოძალვა

მუხლი 182. მითვისება, გაფლანგვა

დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ

მუხლი 194. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება)

ნარკოტიკული დანაშაული

მუხლი 260. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება.

მუხლი 262. საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემოტანა გატანა

მუხლი 264. ნარკოტიკული საშუალების საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერ მოქმედი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა.

მუხლი 269. ნარკოტიკული საშუალებისან პრეკურსორის დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა.

სატრანსპორტო დანაშაული

მუხლი 276. ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილების და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ

მუხლი 313 და 320-ე. სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა, მისი გახმაურება, ჯაშუშობა (314 მ.);

მუხლი 315. შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად

ტერორიზმი

მუხლი 323. ტერორისტული აქტი

მუხლი 325. საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა;

სამოხელეო დანაშაული

მუხლი 332. სამსახუროებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება

მუხლი 333. სამსახუროებრივი უფლებამოსილების გადამეტება

მუხლი 338. ქრთამის აღება

მუხლი 339. ქრთამის მიცემა

მუხლი 339¹. ზეგავლენით ვაჭრობა

მუხლი 340. კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება

დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ

მუხლი 360. თვითნებობა

დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ

მუხლი 369¹. სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია.

მუხლი 370. ცრუ ინფორმაცია, ცრუ ჩვენება, ყალბი დასკვნა, არასწორი თარგმანი.

მუხლი 375. დანაშაულის დაფარვა.

დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ

მუხლი 407. გენოციდი

სისხლის საპროცესო სამართალი

1. დაცვის უფლება.

2. სისხლის საპროცესო სამართლის პრინციპები.

3. მტკიცებულების დასაშვებობა.

4. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი და წესი. აღკვეთის ღონისძიების გასაჩივრების და შეცვლის შესახებ შუამდგომლობის განხილვის წესი. პატიმრობა. გირაო.

5. დადგენილება პირის ბრალდების შესახებ. ბრალდების წაყენება. ბრალის შეცვლა და დაზუსტება. უარი ბრალდებაზე.

6. მოწმის დაკითხვა და გამოკითხვა.
7. საპროცესო შეთანხმება.
8. საგამომიებო მოქმედებები.
9. საქმის არსებითი განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში.
10. განაჩენის დადგენა. განაჩენის ასლის გადაცემა მხარეებისათვის. ცვლილებების შეტანა განაჩენში.

საჯარო სამართლის მიმართულებით

- I. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი
 1. საჯარო მმართველობა და ადმინისტრაციული სამართალი.
 2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები.
 3. ადმინისტრაციული ორგანოს ცნება.
 4. ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთდახმარების ვალდებულება (სამართლებრივი დახმარება), პირობა და ფარგლები. უარის თქმა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე.
 5. კოდექსის მოქმედების სფერო.
 6. ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმები.
 7. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (სზაკ, IV თავი).
 8. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნება, სახეები.
 9. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა, სახეები
 10. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და უკანონობა. ფორმალური და მატერიალური კანონიერება.
 11. უკანონო და არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.
 12. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. აღმჭურველი და ამკრძალავი (მავალბელი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. ბათილად ცნობილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები.
 13. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება. აღმჭურველი და ამკრძალავი (მავალბელი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება.
 14. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად და ძალადაკარგულად გამოცხადების ბუნება და ერთმანეთისაგან გამიჯვნა.
 15. მხარის კანონიერი ნდობა და კომპენსაცია.
 16. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
 17. ადმინისტრაციული ორგანოს რეალური მოქმედება (რეალაქტი).
 18. ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ცნება, საგანი, მიზანი, სუბიექტები, წარმოების თავისებურებანი, ადმინისტრაციული ხელშეკრულების ფორმალური და მატერიალური კანონიერება, ადმინისტრაციული ხელშეკრულების გამიჯვნა სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან, ადმინისტრაციული ხელშეკრულება და ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტი, მესამე პირების უფლებები ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილობა.

19. მარტივი ადმინისტრაციული წარმოება, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი, წარმოების ენა, ადმინისტრაციული წარმოების მონაწილენი/სუბიექტები და მათი უფლებები, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, აცილება და თვითაცილება ადმინისტრაციულ წარმოებაში, წარმომადგენელი ადმინისტრაციულ წარმოებაში, დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, ადმინისტრაციული წარმოების ვადა. საქმის გარემოებათა და მტკიცებულებათა გამორკვევა ადმინისტრაციულ წარმოებაში, ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობის უფლება, გადაწყვეტილების მიღება.

20. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება. თავისებურებანი, დაინტერესებული მხარის მონაწილეობა, ზეპირი მოსმენა, მისი ჩატარების წესი, გადაწყვეტილების მიღების წესი, მოწმე და ექსპერტი.

21. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თავისებურება. საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენა, საკუთარი მოსაზრების წარდგენის წესი, აქტის პროექტის მომზადება და საჯარო გაცნობისათვის წარდგენა, ზეპირი მოსმენა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

22. ადმინისტრაციული წარმოება კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში, წარმოების წესი, სხდომის მიმდინარეობის წესი, კვორუმი, სხდომის ოქმი, ადმინისტრაციული წარმოების წესი კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად, პროექტის გამოქვეყნება, დასკვნის და საკუთარი მოსაზრების წარმოდგენა, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და მიღების ვადა.

23. დამოუკიდებელი ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის წესი. სავალდებულობა, დანიშვნის წესი, ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის დაუშვებლობა.

24. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება. ცნება, არსი და ზოგადი საფუძველი, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის ვალდებულება, აღსრულებაზე უფლებამოსილი ორგანო, აღსრულების წესი, გადაწყვეტილება აქტის აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ, ფულადი მოთხოვნების აღსრულება, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების უზრუნველყოფის საშუალება, სხვა პირისათვის ამიადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების დავალება, ჯარიმა, უშუალო იძულება.

25. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით. ადმინისტრაციული საჩივრის არსი, ცნება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის ვალდებულება, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი და გადამწყვეტი ორგანო, ადმინისტრაციული საჩივრის ფორმა და დასაშვებობა, ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე და განხილვაზე უარის თქმა, ადმინისტრაციული საჩივრის შეტანისა და განხილვის ვადები, გასაჩივრების სუსპენზიური ეფექტი (გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერება), ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული წარმოების მოცულობა, ადმინისტრაციული საჩივრის დასაბუთება, საფუძვლიანობა, დაინტერესებული მხარის უფლებები, ზეპირი მოსმენის

ჩატარების პირობები, გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების მიღება კანონიერებისა და მიზანშეწონილობის საფუძველით. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ორგანოს/პირის უფლებამოსილება გააუქმოს, შეცვალოს გასაჩივრებული აქტი ან გამოსცეს ახალი.

26. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, მოთხოვნის უფლება სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურებაზე, ზიანის წარმოშობის საფუძველი, ზიანის ობიექტი, ბრალი, როგორც ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის ელემენტი, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის პირობები (ანუ, ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობის წარმოშობის პირობები), ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო სამართლებრივი საფუძველი (სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 1005), სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებული წესი, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის გამომრიცხველი გარემოებები, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე მიყენებული ზიანისათვის, სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს პასუხისმგებლობა კანონიერი საჯარო-სამართლებრივი ქმედებით გამოწვეული ზიანისათვის. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის უფლება.

27. ინფორმაციის თავისუფლება. ტერმინთა განმარტება, საჯარო დაწესებულება, საიდუმლო ინფორმაციის სახეები, გამოქვეყნების წესი. სხდომათა საჯაროობა, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომა. საჯარო რეესტრი, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საჯარო ინფორმაციის ასლის ხელმისაწვდომობა, საჯარო დაწესებულებისათვის პერსონალური მონაცემებისა და კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, აღმასრულებელი პრივილეგია, პროფესიული საიდუმლოება, გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ, გასაიდუმლოების ვადა, საჯარო ინფორმაციის გაცემა, გაცემაზე უარის თქმა და გადაწყვეტილება, ინფორმაცია რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია, პერსონალური მონაცემების საიდუმლოება, გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა, ზიანის ანაზღაურება, სასამართლოს მიერ გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამოთხოვა, ანგარიშის წარდგენა და გამოქვეყნება, ადრე არსებული საჯარო ინფორმაციის ღიაობა, პროაქტიული გამოქვეყნება, საქმისწარმოების მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებები.

28. საქართველოს კანონი “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ”.

II. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი

1. ადმინისტრაციული პროცესის ცნება
2. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის კონსტიტუციურ - სამართლებრივი საფუძვლები
3. ადმინისტრაციული პროცესის პრინციპები
4. ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ორგანიზაციული მოწყობა
5. საჩივარი და სარჩელი სახელმწიფო კონტროლის სისტემაში
6. საპროცესო ვადები
7. საპროცესო ხარჯები

8. სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა. ადმინისტრაციულ პროცესში სასამართლო უწყებრივ ქვემდებარეობსა და სასამართლო განსჯადობასთან დაკავშირებული დავის არსებობის განმაპირობებელი სამართლებრივი გარემოებები. უწყებრივი ქვემდებარეობის ცნება და არსი. მაგისტრანტი მოსამართლის განსჯადი საქმეები. ადმინისტრაციული საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის ან სამოქალაქო საქმის ადმინისტრაციული წესით განხილვის შედეგად საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები. ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც სარჩელის დასაშვებობის წინაპირობა.

9. განსჯადობა და მისი სახეები. უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის დარღვევის სამართლებრივი შედეგები. ტერიტორიული განსჯადობა. ინსტანციური განსჯადობა. საგნობრივი განსჯადობა. ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის გამიჯვნის თეორიები. დავა განსჯადობის შესახებ ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით საქმის განმხილველ სასამართლოებს შორის. განსჯადობის განსაზღვრის კრიტერიუმები. საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებს შორის ქვემდებარეობის გამიჯვნა. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ და სამოქალაქო დავათა გამიჯვნის სამართლებრივი კრიტერიუმები.

10. მხარეები და მესამე პირები. მხარეები. მოსარჩელე. მოპასუხე. მხარეთა საპროცესო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. მხარეთა უფლებები და მოვალეობები. საპროცესო თანამონაწილეობა. მესამე პირები. მესამე პირის სამართლებრივი დაცვა. მესამე პირის სახეები.

11. სასამართლო მტკიცებულებები. სასამართლო მტკიცებულებების ცნება და მტკიცების სუბიექტები. მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციულ პროცესში მტკიცების საგანი.

12. სარჩელის აღძვრა. სარჩელის ფორმა და შინაარსი. სარჩელების გაერთიანება, გამოყოფა, შეცვლა და დაზუსტება. გამარტივებული, დაჩქარებული სამართალწარმოება და სარჩელის ტრანსფორმაცია. გამარტივებული სამართალწარმოება. დაჩქარებული სამართალწარმოება. სარჩელის ტანსფორმირება.

13. ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე. სარჩელის დასაშვებობა. ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმა. პირდაპირი და უშუალო ზიანი. გასაჩივრების ვადები.

14. სარჩელის დასაბუთებულობა. კანონიერების შემოწმება. სამართლებრივი საფუძვლის კანონიერება. კანონის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობა. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება. განუსაზღვრელი ცნებები. შეფასების თავისუფალი სივრცე. დისკრეციული უფლებამოსილება. სუბსუმციაში შეცდომის შემოწმების მეთოდი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადამოწმებისათვის მნიშვნელოვანი დრო. პირდაპირი და უშუალო ზიანი. სასამართლო გადაწყვეტილება.

15. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე. დავის საგანი, სარჩელის მიზანი. სარჩელის დასაშვებობა. საქმიანობის სამართლებრივი ფორმა. ადმინისტრაციული ორგანოს უარი. უარის კანონიერების გადამოწმება. ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის ვალდებულება. პირდაპირი და უშუალო ზიანი, სასარჩელო უფლებამოსილება. გასაჩივრების ვადები. დისკრეციული უფლებამოსილება.

16. სარჩელის დასაბუთებულობის დადგენა. აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნის კანონიერების შემოწმება. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო. მოსარჩელის კანონიერი უფლება ან ინტერესი. სასამართლოს გადაწყვეტილებაადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარღელთან დაკავშირებით. ფარგლები სარჩელთა სხვა სახეებთან. აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელი. მესამე პირები. ფაქტობრივი მოქმედების განხორციელების დავალების შესახებ სარჩელთან ფარგლები.
17. სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე. სარჩელის დასაშვებობა. საქმიანობის სამართლებრივი ფორმა. ადმინისტრაციული ორგანოს სარჩელი ქმედების განხორციელების მოთხოვნით. პირდაპირი და უშუალო ზიანი. სარცელის ხანდაზმულობის ვადები.
18. სარჩელის დასაბუთებულობა. კანონიერების შემოწმება. პირდაპირი და უშუალო ზიანი. სასამართლო გადაწყვეტილება.
19. აღიარებითი სარჩელი სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა - არარსებობის დადგენის შესახებ (ზოგადი ხასიათის აღიარებითი სარჩელი). დავის საგანი. სარჩელის დასაშვებობა. არსებული სამართლებრივი ურთიერთობა. სარჩელთა სხვა სახეებთან ფარგლები. კანონიერი ინტერესი. სასარჩელო უფლებამოსილება.
20. განვრცობითი აღიარებითი სარჩელი. დასაშვებობა. კანონიერი ინტერესი. სასარჩელო უფლებამოსილება. ხანდაზმულობის ვადა.
21. აღიარებითი სარჩელის დასაბუთებულობა. სასამართლოს გადაწყვეტილება.
22. სახელშეკრულებო დავები. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოხატული ნების სამართლებრივი ბუნება და ფორმა. სამართლებრივი ბუნება. ცალმხრივი ნების გამოვლენის სამართლებრივი ფორმა
23. უფლების დაცვის საპროცესო სამართლებრივი საშუალებები. უფლების დაცვის რეპრესიული საშუალებები. უფლების დაცვის პრევენციული (დროებითი) საშუალებები. უფლების დაცვის დროებითი საშუალება. სასკ-ის 29-ე მუხლით განსაზღვრული უფლების დაცვის საპროცესო-სამართლებრივი საშუალება. დროებითი განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ.
24. დროებითი განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ.
25. აპელაცია. სააპელაციო სამართალწარმოების თავისებურებანი ადმინისტრაციულ პროცესში. აპელაციის სახეები. ადმინისტრაციული სამართალწაროება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში.
26. კასაცია. საკასაციო საჩივრის დასაშვებობა. საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების პირობები (ფორმალური დასაშვებობა). საკასაციო საჩივრის ობიექტი. საკასაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე სუბიექტები და მათი შემხებლობა დავის საგანთან. საკასაციო საჩივრის შეტანის კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადა. საკასაციო საჩივრის შინაარსი. პროცესის ხარჯები.
27. ადმინისტრაციული სამართალწარმოება მეწარმის საქმიანობასთან დაკავშირებით. მოსამართლის ბრძანება მეწარმის შემოწმების თაობაზე. მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობა. მეწარმის საქმიანობის შემოწმების საკიტხის გადაწყვეტის წესი
28. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან და დახმარებასთან

დაკავშირებით. სასამართლოსათვის მიმართვა, მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების შეზღუდვის, აგრეთვე არასრულწლოვანი მშობლისაგან, სხვა კანონიერი წარმომადგენლისაგან ან არასრულწლოვანზე მოძალადე სხვა პირისაგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და გასაჩივრების წესი. დამცავი ორდერის გამოცემისა და გასაჩივრების წესი. შემაკავებელი ორდერის გამოცემისა და გასაჩივრების წესი. დამცავი ორდერით გათვალისწინებული საკითხები

29. ადმინისტრაციული სამართალწარმოება არანებაყოფლობით ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონაში მოთავსების შესახებ. არანებაყოფლობით ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონაში მოთავსების შესახებ მოსამართლისათვის ან სასამართლოსათვის მიმართვა. არანებაყოფლობით ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონაში მოთავსების საქმის განხილვისა და ბრძანების გამოცემის წესი. არანებაყოფლობით ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონაში მოთავსების შესახებ მოსამართლის ბრძანების მოქმედების ვადა და მისი მოქმედების ვადის გაგრძელების წესი. არანებაყოფლობით ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონაში მოთავსებასთან დაკავშირებით მოსამართლის ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრება

30. ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით. მოსამართლის ბრძანება გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე. საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობა. გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის საკითხის გადაწყვეტის წესი.